# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

## ბრძანება № 05-04-11/270

ქ. თბილისი

03 04 2018 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პერსონალისათვის სამუშაო დროის ხანგრძლივობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - საქართველოს შრომის კოდექსის მე-14 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოსკანონის 22-ე მუხლისა და უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 21 მარტის № 01-06-02/16 დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. სტუ-ს პერსონალისათვის, გარდა ამ ბრძანების მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრული პერსონალისა, სამუშაო კვირა განისაზღვროს 5 სამუშაო დღით - ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, შესვენების დრო - 13:00 საათიდან 14:00 საათამდე.
2. სტუ-ს ინფრასტრუქტურის მართვისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალისათვის სამუშაო კვირა განისაზღვროს 6 სამუშაო დღით - ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, შესვენების დრო - 13:00 საათიდან 14:00 საათამდე, ხოლო შაბათს - 10:00 საათიდან 15:00 საათამდე.
3. სტუ-ს ფაკულტეტების/სკოლის პერსონალისათვის(გარდა აკადემიური პერსონალისა) სამუშაო კვირა განისაზღვროს 6 სამუშაო დღით - ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით,

10:00 საათიდან 18:00 საათამდე, შესვენების დრო - 13:00 საათიდან 14:00 საათამდე, ხოლო შაბათს - 10:00 საათიდან 14:00 საათამდე.

ამ პუნქტით განსაზღვრული ფაკულტეტის იმ დამხმარე პერსონალის სამუშაო დრო, რომელთა ფუნქცია-მოვალეობები დაკავშირებულია სასწავლო პროცესის (ცხრილების) მიმდინარეობასთან, სამუშაო დროის გრაფიკს განსაზღვრავს ფაკულტეტის დეკანი.

4. სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკისა და მისი საფაკულტეტო ფილიალებისათვის სამუშაო კვირა განისაზღვროს 6 სამუშაო დღით - ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 10:00 საათიდან 20:00 საათამდე, ხოლო შაბათს - 10:00 საათიდან 16:00 საათამდე. ამ პუნქტით გათვალისწინებული პერსონალისათვის სამუშაო დროის გრაფიკს შეიმუშავებს ბიბლიოთეკის დირექტორი, რექტორთან შეთანხმებით. პერსონალის სამუშაო დროის მოცულობა კვირაში არ უნდა აღემატებოდეს 40 საათს, ხოლო დასვენების დრო დღეში 1 საათს.
5. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის კორპუსებში თვალსაჩინო ადგილებზე და უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერის დღიდან.

**რექტორი** **არჩილ ფრანგიშვილი**